სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ, სათ.-ანზნაური ქარვასლა.
ხელის-მოწერილი გაზეთის დასაბეჭდათ მიიმართება რედაქციას დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—7 და „ც. ფ.“ ქ. ზ. ... წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ იბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონის პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.




☛ კურსი 15 მანათი ☚

1-ლ ენკენისთვიდან ვასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას
✦ საწყალ ქართველ მოწაფეთ უფასოდ ✦

მსურველთ მიჰმართონ კავკასიის საამხანაგო აფთიაქის სავაჭროში ერევნის მოედანზე **ელიზბარ ჯაჯანაშვილს.**

იქვე ისყიდება ყოველივე მოწყობილება ფოტოგრაფიულ ხელობისა. (6—1)

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“.

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განახორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს შპალერად და აფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისათვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყოველნაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის“ ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—15)

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

# სადღეგრძელოები

ამხანაგობის „გლეხის“ გამოცემა

ფასი 5 კაპ.

მსურველნი მიჰმართავენ ზესტაფონში მ. გაჩეჩილაძეს. (10—9)

**ამზადებს** საქალებო სკოლების უმცროსი კლასებისათვის, სხვა-და-სხვა საქალაქო სასწავლებლებისათვის, სასულიერო სასწავლებლის ყველა განყოფილებისთვის და ყველა კლასებისათვის, სასულიერო სემინარიის პირველ კლასისთვის; აგრეთვე ვისაც თავის ნებით სურს ჯარში ჩაეწეროს და მერე იუნკრის სასწავლებელში გადავიდეს (вольноопредѣляющійся). ფასი ყოველს მაშინ გამოერთმევათ, როცა კარგად დაიჭერენ ეგზამენს და შემდეგ იქმნებიან სასწავლებელში. თანახმად კლასებ გარეთაც წაიყვანს მსურველთ: სოფლად და აგარაკად. წერილის ადრესი: г. Тифлисъ, Вознесенская ул. д. № 51, С. А. Картвелову. აგრეთვე მსურველთ შეუძლიათ მნახონ სასულიერო სემინარიაში 9—1 საათამდის. (10—10)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ქალებს, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზ 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки. (100—29)

## ექიმი
გ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 სათ.

მიხეილის ქუჩა, № 16
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისა.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფი სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **შ. ქ. მერაბი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობა—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საგებით და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და სხვისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.*

# ახალი ამბავი

** შეწყალება მცხეთის ტაძრის განსაახლებლად. მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ მიიღო მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისაგან შემდეგი დეპეშა:

„წაგიკითხო-რა თქვენი მოწოდება, ცოდვ და მე სამოწყალოდ გწირავთ 2,000 მანეთს განსაახლებლად მცხეთის ტაძრისა, ჩვენი უძველესი ეკკლესიის გვჯასაში.

ალექსანდრე მიხეილის ძე“.

მიიღო თუ არა ასეთი სასიხარულო დეპეშა, განმაახლებელ კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაადგინეს გადაიხადონ ტფილისის სიონის ტაძარში პარაკლისი კვირას, 19 ივლისს, მისი იმპერატორებითი უმაღლესობის და მისი ოჯახის სახლობის სადღეგრძელოდ.

** მთავარ მართებელი თავ. გოლიცინი ტფილისს ჩამობრძანდება ამ თვის ოცში და იმავე დღეს გაემგზავრება სახაზინოდ კოჯორს.

** სასულიერო სემინარიის რექტორს სერაფიმეს, როგორც ისმის, აძლევენ უმაღლესს ადგილს რუსეთის ერთ ერთ გუბერნიაში, ხოლო მის ადგილს დანიშნავენ ინსპექტორის სემინარიისა არქიმანდრიტი გერმოგენი.

** მღ. პოლიევქტო კარბელაშვილი სასულიერო მთავრობას და-

უნიშნავს მღვდლად ანჩისხატის ეკკლესიაში.

⁂ **საჭიროა ტრამვაის მსახურთა გასინჯვა.** ამ დღეებში ქალაქის სასანიტარო გამგეობას გაუსინჯავს, თურმე, ყველა მსახურნი სხვა და სხვა რესტორანსა და სასტუმროებში და მათში აღმოჩენილა მრავალი ავადმყოფი სხვა და სხვა სენით და განსაკუთრებით სიფილისით.

ჩვენ გვგონია ფრიად საჭირო და დროზედაც-კი მოსწრებული იქნება, თუ სასანიტარო გამგეობა გასინჯავს აგრეთვე ტრამვაის, ცხენის რკინის გზის, მსახურთ: მეეტლეთ და კონდუქტორებს.

⁂ **რკინის გზის გამგეობის საყურადღებოდ.** სხვათა მრავალთა უცნაურ წეს-რიგთა შორის ჩვენს რკინის გზაზე, ფრიად შემავიწროებელი და საწყენია ერთი გარემოებაც. საქმე ის არის, რომ ბორჯომიდან მატარებელი გადის ნაშუაღამევის ორ საათზედ, ხოლო კონდუქტორები მაშინ უშინჯავენ მგზავრთ ბილეთებს, როდესაც მატარებელი მიხეილოვის სადგურს გასცილდება და გომს უახლოვდება. ეგ რომ დღისით იყოს, არა უშავდა რა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მგზავრები დაღლილები და უძილონი მიხაილოვიდან მოეწყობიან ხოლმე დასაძინებლად და სწორედ ამ დროს ობერ კონდუქტორი მუჯლუგინის კვრით თუ ყვირილით აღვიძებს მგზავრებს და ბილეთს თხოულობს შესამოწმებლად...

ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ვაგონების კარები დაკეტილია და უბილეთოთ არავის არ გაუღებენ კარებს იქვე მდგომი კონდუქტორები, მაშინ, სწორედ საკვირველია, რაღა მეორეჯერ თხოულობენ ბილეთებს!..

სასურველია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს რკინის გზის მმართველობა და რაიმე შესაფერ ცვლილებას შემოიღებდეს და მით დაიხსნიდეს მგზავრთ შეწუხებისაგან.

⁂ **სწავლა-მეცადინეობა ტფილისის საზადოსნო სკოლაში** შესწყდა და მოწაფეები დათხოვნილ იქმნენ სექტემბრამდე. სექტემბერში კი განზრახვა აქვთ დანიშნონ კურსდასამთავრებელი ეგზამენები.

⁂ **მისაღები ეგზამენები** ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში და მასთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში (მხოლოდ 1-ლ კლასში) დანიშნულია 25 აგვისტოს.

⁂ **დეკანოზი იოანე სერგიევი** (კრონშტადტელი), სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ჩრდილოეთში მგზავრობის შემდეგ გამოემგზავრება საქართველოში.

⁂ **საჩივარი ხელოსანთა მოურავზე.** ტფილისის ხელოსანთა გამგეობის მოსამსახურე პირთ ბ. გუბერნატორს საერთო თხოვნა წარუდგინეს ხელოსანთა მოურავის ბ. სერობიანცის წინააღმდეგ, რომელიც ეს რამდენიმე თვეა მათ ჯამაგირს არ აძლევს გამგეობაში ფულის უქონლობის მიზეზებით, მაშინ როდესაც მას, ბ. სერობიანცს, მოსამსახურე პირთა განცხადებით, მოკრეფილი ფული თან მიაქვს და ინახავს თავის მაღაზიაში. ამასთან მოსამსახურე პირთ აწერილი აქვთ თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა: ბინაზე აღარ გვაყენებენ ბინის ქირის მიუცემლობის გამო, მედუქნეები ნისიად აღარ გვაძლევენ არც პურს, არც ხორცს და არც სხვასაო.

⁂ **ტფილისის საზადოსნო სკოლის ცეცხლის წაკიდების** გამოძიება პოლიციამ გადასცა მე-3 მომრიგებელ განყოფილების სამოსამართლო გამომძიებელს, რომელიც უკვე შეუდგა საქმის გამოძიებას.

⁂ **წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება დუშეთში.** დუშეთის ქალაქის გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა დუშეთში ფასიან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების შესახებ. ეს წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსდება დუშეთის მცხოვრების განსვენებულის ალ. ს. როინაშვილის შეწირულებით, რომელიც შესდგება 560 ქართულ-რუსული წიგნისა და წიგნთ-საცავის საწყობ ავეჯისაგან. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს არსებობისათვის ყოველ წლივ გადიდება ქალაქის გამგეობისაგან შემწეობა, წიგნთ-საცავის მოთხოვნილებისა დაკვალად, გარდა სხვა და სხვა გვარი შემოსავლისა. სადგომი წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გათბობით, განათებით და მსახურით უფასოდ მიეცემა ქალაქის გამგეობის მიერ.

⁂ **სომეხთა კათალიკოსი,** როგორც „ნორ-დარს“ სწერენ ეჩმიაძინიდან, ამ კვირაში მიემგზავრება ნახიჩევანსა, ტატევსა და შუშაში იქაურ მონასტრების დასათვალიერებლად, იქიდან კი წამოვა ტფილისს. ტფილისიდან მისი უწმინდესობა ეჩმიაძინში გაბრუნდება.

⁂ **წყალ-ტუბის აბანოს მოწყობის საქმე,** როგორც ისმის, ამ ჟამად განსახილველად აქვს გადაცემული კავკასიის სამედიცინო განყოფილების გამგეობას.

⁂ **ყურადღება მთა წმინდელებო!** ტყუილად არ აფუჭებს ამისთანა სახელს „მთა წმინდა“, რომ ასეთს ქუჩებს ეწოდება! უფრო შეეფერებოდა ამ ქუჩებს დარქმეოდა „უწმინდური“. ქუჩები (ხევისა) არ არის მოკირწყლული; როცა წვიმა მოვა, ნიაღვრებით ივსება ქუჩები და თან მოაქვს კატისა და ძაღლის ლეშები, ჰყრია სახლის ნაპირებთან და მთელი კვირაობით ჰყარს. ამასთანავე ხევის ქუჩაზე ზოგი მცხოვრებნი დილ-დილით ქუჩაზე მოგროვილს ნაგავს უკიდებენ ცეცხლს, რომელიც ჰხრჩოლავს, ამას მიუმატეთ ზარულები... საჭიროა ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს.

⁂ **სოხუმი. მღვდლების გაჭირვება.** ადგილობრივს საეპარქიო კანცელარიას დღემდე არა ჰყავს თარჯიმანი. ამის გამო დიდს გაჭირვებაში არიან ის მღვდლები, რომლებმაც არ იციან რუსული, ხოლო ასეთები აქეთ მრავლად არიან. როცა ჩამოვლენ ხოლმე ესენი სოხუმში თავიანთი მთავრობის ბრძანებით, ან-და კერძო საქმეების გამო, იძულებულნი არიან ეძებნონ ქალაქში რუსულის მცოდნე ნაცნობი, ან მიენდონ უცნობს. დიდი გაჭირვება ადგათ სოხუმში მოსულ მღვდლებს აგრეთვე იმის გამო, რომ თავიანთი უკიდურესი სიღარიბის გამო ისინი იძულებულნი ხდებიან დადგნენ დუქნებსა და ბინძურ სამიკიტნოებში. („ნ. ო.“)

⁂ **ფოთი. ფოთელების გასართობი.** სწორედ დიდ დანაშაულად ჩაეთვლებათ ფოთელ „ინტელიგენტებს“ მათი სრული უმოქმედება. ამათ ვერ მოუხერხებიათ აქ ერთი სამკითხველოს დაარსება, მაშინ როდესაც ისეთ დაბა-სოფელშიაც კი აარსებენ მას, სადაც განათლებულ და კითხვის მოყვარულ პირთა რიცხვი სამჯერ უფრო მცირეა, ვიდრე აქ. გარდა ამისა მათ ფიქრათაც არ მოსვლიათ, რომ ხანდახან წარმოდგენები გაემართათ და ცოცხალი სურათები დაედგათ, სადაც შეძლებოდა დასწრება დაბალ წოდებასაც, რაც ფრიად საჭიროა და ყველასათვის სასურველი.

თუ აქაური ინტელიგენტები სრულ უმოქმედებას მისცემიან და არავითარ გონივრულ გასართობს არ აწვდიან მცხოვრებთ, სამაგიეროდ ერთმა კულტუროსანმა ვაჭარმა ფოთელებისათვის გამოიწერა დამკვრელები („არფიანკები“) და დააყენა თავის სასტუმროში, რომელიც იმყოფება ბაზრის ახლო ივანოვის ქუჩის მისახვევში. დამკვრელების დაბინავებისათანავე ხსენებულმა სასტუმრომ საყოველთაოდ გამოაცხადა შემდეგი: ფოთელებო! აქ მობრძანდით! აქ არის თქვენი გასართობი, თვალ-ჟუჟუნა ჰიკჰიკა მერცხლები: ესენი დაუკვრენ, ზედ დაამღერებენ ტკბილ-ტკბილ სიმღერებს, როგორიც არის: „არ მეგონა შენი კოცნა ხათაბალა ყოფილაო“; ისიამოვნეთ, გაერთვეთ და ხარჯშიც იოლად გამოხვალთ: რაშიც სხვაგან აბაზს გარდიხდით, იმაში აქ შვიდ შაურს აგაძრობთ. დამკვრელებს რაც გინდათ, აჩუქეთ. ხოლო თუ ფული ჯიბაში აღარ დაგირჩეთ, ფულის მაგივრად შეიძლება მივიღოთ ვერცხლეულობა; საათი, ხანჯალი, ხმალი და სხვაო.

თუმცა ამ განცხადებამ პირველად მიიზიდა ხალხი და მხოლოდ რამდენიმე პირი ჩაეწერა წევრად, მაგრამ, რაც დრო გავიდა, მსურველთა რიცხვმა იმატა და დღეს სასტუმროს აუარებელი წევრები ყავს, რომელთა შორის შეხვდებით სხვა ინტელეგენტებსაც. დღე და ღამ ამ სასტუმროში არის ერთი ხრიალ-გრიალი და აურ-ზაური...

პიპე-კოჩი

⁂ **ს. ხორში** (სამეგრელო). **ბანქოს მოთამაშენი.** აქაც იმყოფებიან უსაქმო ვაჟბატონები, რომლებიც ყოველ დღეს ბანქოს თამაშში ატარებენ. მოგროვდებიან ეს ვაჟბატონები ამ სოფლის დუქნებში, გამართავენ ბანქოობას და თამაშობენ მანამ, სანამ ჯიბე სულ არ გამოეფხეკებათ და სანამ ზოგიერთები თავიანთ ქამარ-ხანჯალსაც არ გამოეთხოვებიან და შემდეგ ხელცარიელნი არ წაბრძანდებიან შინ. ასეთ თამაშს სოფ. ხორშში იშვიათად შეხვდებოდით წინეთ, მართალია ხანდისხან ითამაშებდნენ, მაგრამ დამალულად, სადმე ოთახებში, რადგან ბანქოობა სასირცხვოდ მიაჩნდათ, დღეს კი საჯარო თამაშია გაჩაღებული: ხან დუქნის ბალკონებზედ, ხან მინდორში ჩრდილში, სადაც მათ შამოეხვევა მაყურებლები, დიდიც და პატარაც. ასე გაძლიერდა ბანქოობა ჩვენში და მის მაგიერ, რომ მოსპონ ასეთი გამრყვნელი გასართობი, ზოგიერთი შეგნებულებიც კი ერთობიან ბანქოობით... საჭიროა გამოფხიზლდნენ ჩვენი ნასწავლები და ბანქოს თამაშის მაგივრად რამე ხალხის საკეთილ-დღეო საქმეს მოჰკიდონ ხელი, რასაკვირველია, ბევრად უმჯობესი იქმნება...

ხორშელი

*** **ს. ცერონისი** (ქართლი). **ძმის დაჭრა.** აგერ იქნება თითქმის ათი წელიწადი, რაც სოფ. ცერონისში მცხოვრებნი ძმები ბარძიმ, ვარლამ, გიგო და ნიკო ფალავანდიშვილები არიან ერთმანეთზე გადაკიდებულნი მამულის თაობაზე. ყოველს წელს ხან ერთი ძმა მოიტაცებს მინდვრიდან ჭირნახულს, ხან მეორე, ასე რომ საქმე მისწრებაზე არის. წელს როგორც იყო გაუნაწილეს შუა კაცებმა და თავთავისი ჩააბარეს. შვიდს ამ კათათვეს გიგო ფალავანდიშვილი მივიდა მუშებით თავის წილის შესაღობათ, მაგრამ როდესაც დანარჩენი ძმები მიხვდნენ რომ აქ გზა აღარა გვრჩებაო ნებას აღარ აძლევდნენ შეღობისას; ამ დროს გულ-მოსული გიგო ფალავანდიშვილი ხანჯალამოღებული გაექანა თავის ძმისკენ ვარლამისკენ და მძიმეთ მისცა ჭრილობა მარცხენა ძუძუს ქვემოდან და მარჯვენა მაჯაში, როგორც ცნობილი ექიმი თურმანიძე ამბობს, სიკვდილით არა დაუშავდება-რა, ხოლო ხელი კი გაუფუჭდებაო. როდესაც დაინახეს დანარჩენმა ძმებმა დაჭრილი ძმა, მისცვივდნენ დამჭრელ ძმას და კეტით რამდენგანმე გაუტეხეს თავი. მაცქერალი და მიმშველებელი კაცი არარავინ იპოვებოდა, რადგან ვენახი სოფელზე მოშორებული არის. ისე რომ ისევ ორმა დანარჩენმა ძმებმა ბარძიმმა და ნიკალაიმ უპატრონეს როგორც დაჭრილს ძმას ვარლამს ისე თავიანთვე გალახულს ძმას გიგოს და სათითაოდ გულწასულნი მოზიდეს სახლში. ამ შვიდის წლის წინათ ვარლამმა და ბარძიმა მძიმედ დასჭრეს ისევე თავიანთი ძმა გიგო, რომელსაც ხელი დღესაც წამხდარი აქვს და სწორედ მას შემდეგ უარესი მტრობა ჩამოუვარდათ ერთმანეთში. კარგი იქნება ვინმე კეთილსინდისიერი გაერიოს ამათ საქმეში და მოარიგოს როგორმე, რომ ძმათა შორის აღარაფერი უსიამოვნობა და სისხლის ღვრა არ მოხდეს.

ხეუბნელი

*** **სურამი. მოსავალი.** წელს იმისთანა გახარებულნი არიან სურამის ნაწილში მცხოვრებნი გლეხკაცობა, რომ მეტი აღარ მოხერხდება. ძალიან მშვენიერი გამოსავალი აქვს როგორც ქერს ისე პურს და სიმინდებიც საუცხოვოდ არის. იქნება წელს მაინც მოვიდგათ სული და მოვალეებს გავსცეთ პასუხიო, გაიძახიან გლეხები.

*** **გურია. იარმუკა ნაგომარში.** გურიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაგომრის იარმუკას. ნაგომარი იმყოფება შუა გულ გურიაში და ამის გამო აქაურ იარმუკას გურიის ყოველ კუთხიდან ეტანებიან მცხოვრებნი. მთელი გურიის ნაწარმოები აქ გამოაქვთ გასასყიდად. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ ჩარჩ-ბაცაცები ყოველგვარ ნაწარმოებს მეათედ ფასად იგდებენ ხელში. ასე გასინჯეთ, გასულ წელში ჩარჩ ბაცაცებმა პირობაც კი შეჰკრეს ერთმანერთში და ოყა (ოყა სამი გირვანქაა) აბრეშუმი, რომელიც 8 მ. ფასობდა, სამ მანეთზე ჩამოიყვანეს. იარმუკაზე, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მოვაჭრენი ბლომად მოდიან, მეტადრე ეტანებიან მას აბრეშუმის მყიდველები. პირველად ეს ვაჟბატონები ნამდვილ ფასს აძლევენ აბრეშუმში, ბოლოს კი, როცა დარწმუნდებიან, რომ მოცილე არავინა ჰყავთ, პირობასაც ჰკვრენ ერთმანერთში ფასის დასამცირებლად. ხსენებული იარმუკა იმართება 15 ივლისიდან და გასტანს დამლევამდე. იმედი გვაქვს, ბ-ნი მაზრის უფროსი ლაზარენკო ზემო აღწერილ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და მით დახმარებას აღმოუჩენს დაჩაგრულს ხალხს; აგრეთვე იმედს ვიქონიებთ, რომ ჩვენი „შუამავალი“ გაუჩნდება მოცილეთ უცხოელებს ნაგომარში.

ვარდენ მეთვალყურე

*** **ს. კავთისხევი** (ქართლი). **ჭირნახულის მოსავალი** ღვთის მადლით კარგი ჩანს. ეს ერთი კვირაა, რაც გახურებული მკა არის. სიმინდის მოსავალი კარგი სჩანს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ გვალვამ ძალიან შეაწუხა. ჩვენი მამული სულ სარწყავია და წყალი კი არსადა სჩანს, მთლად კავთისხევსა და ახალ ქალაქის მიდამოს აქვთ ორ ნაკადულის ტოლა წყალი, ამ წყალს იყოფენ შუაზედ და რიგ-რიგათ რწყავენ მემამულეები, მინამ ამ რიგს ჩამოურიგებენ ზაფხულიც გადის და საწყალ გლეხ-კაცს კი უხმება მიწის მოსავალი. რასაკვირველია, ვისაც მკლავი ქქვს პირველი რიგიც იმისია და მოსავალიც მოუვა. ამასობაში ბევრი ჩხუბი და ვაი ვაგლახი ხდება ხოლმე წყლის გამო.

— **პურის სიძვირე.** კოდი პური აქამდის ისყიდებოდა ხუთ მანეთად, ეხლა თუმანიც რომ მისცე ვერსად იშოვნი. იძულებულები არიან აქაურები, ქალაქიდან თითო ფუთობით ზიდონ, მინამდისინ ახალი მიეშველებოდეთ. გლეხ კაცს რომ ჰკითხო, რატომ თქვენც არ გამოიწერეთ, როგორც სხვები იწერავენ, ის გიპასუხებთ: ბარემ მამასახლისმა ხელი მოგვაწერინა, მაგრამ ბოლოს გვითხრა, იქნება თქვენ ორი კვირის შემდეგ იხოცებითო და თქვენი ვალი მე გადამხდებაო. მისწერა, რომ კავთისხევლებს პური არ უჭირთო. ეგა ნიშნავს სიზარმაცეს და არა სხვას... თუნდაც რომ ერთი მომკვდარიყო, იმის გადასახადი სოფელს გადახდებოდა და არა საკუთრათ მამასახლისს.

ვენახების მოსავალიც, სხვათა შორის, კარგია თუ ბოლოს ბედმა არ უმტყუნა და არამ დაჰკრა

— **უბალახობა.** ამ გვალვისაგან ბალახი ისე გახმა და ჩაიფშვნიტა, როგორც ქვიშა. საქონელი დილიდან საღამომდე მშივრები დადიან ცარიელ მინდორში, მეწველე ძროხებმა წველა ძალიან დაიკლეს უბალახობისაგან. საღამოობით ზოგი ბალახს უთიბავს ვენახიდან და ზოგი ვაზის ფოთოლს აჭმევს, ეგები სულ მაინც არ დაშრესო. სოფლის ცხოვრებაში წველა არის ერთი ბედნიერება, ვისაც კი აქვს და თუ ეგეც მოესპოთ, მაშინ კი უბედურება. ემაგაზეა ნათქვამი: „მიეცეს და მიემატოსო“. ერთს რომ დააყენებენ ფეხზე, მეორე წაექცევათ...

ელიზბარ ჯაჯანაშვილი

*** **ს. ბულუხაური. ეკკლესიის მდგომარეობა და სკოლის უქონლობა.** ს. ბულუხაური მდებარეობით, ჰაერით და მცხოვრებლებითაც სანაქებო ადგილია. ორი-სამი წლის წინათ, რომ შეგეხედნათ ამ სოფლის ეკკლესიისათვის თვალზე ხელს აიფარებდით: ეკკლესია უკიდურეს მდგომარეობაში იყო. თვით ეკკლესიაში სწვიმდა, იატაკი ჩატეხილ-ჩალეწილი იყო და გვიმებრას და ანწლს ხშირად შეხვდებოდით შიგ.

ამ ეკლესიის მრევლს შეადგენდნენ, სხვათა შორის, თავმომწონე აზნ. ჭყონიები. ეს აზნაურები ამ სოფელს ხელიდან გამოეცალნენ, ერთი-ორის მეტი, სხვა საუკეთესო ადგილებში დასახლდნენ და ეკონომიურად გააუმჯობესეს თვისი მდგომარეობა. ეკკლესია თითქო უნდა დაცემულიყო ამათი მოშორებით, მაგრამ ,პირ-იქით, დღეს ეკკლესია ეკკლესიას ჰგავს.

აქ არ არის პირველ დასაწყისი სამრევლო სკოლა. თუმცა ასე სკოლაზე მოწყურებულ ხალხს მეორეს ვერ შეხვდებით, მაგრამ ვის შესტიროს მან, ვის თხოვოს დახმარება თავისი წყურვილის დასაკმაყოფილებლად? აზნაურები აღარ ყავთ, ამათ სხვა სოფელში გამოიღეს ხელი. მღვდელი ერთის მაგივრად ორი ყავთ, მაგრამ ესენი ერთმანეთის ჯიბრობას უნდებიან და აქვთ ურთი-ერთ შორის „ჭიდაობა“... გარდა ამისა, მართალია, ამას წინად ერთმა „ინტელიგენტმა ააშენებია მათ ამ სოფელს სკოლის სახლი და შიგ თავის სკოლიდან სტოლ-სკამები გადმოიტანა; თავის სკოლაში სწავლა მოსპო და აქ დაიწყო მასწავლებლობა, მაგრამ ორ თვეს შემდეგ სკოლა და ბავშვები მიატოვა და თავის ბარგი-ბარხანით გაემგზავრა უწინდელ სკოლაში.

აილოკ ჯ.

*** **დ. ყვირილა. ბაზრის აგკარგი.** მოვიდა თუ არა ყვირილაში ამბავი, ძველი მაზრის უფროსის ადგილზე ახალი მაზრის უფროსი ნეტკაჩევი დაუნიშნავთო, დაფაცურდა ადგილობრივი ბოქაული, განდევნა ბაზრიდან ყოველგვარი უსუფთაობა და, სხვათა შორის განათავისუფლა ქუჩები იმ აუარებელ ქვებისაგან, რომლებიც ამ თორმეტი წლის განმავლობაში ქვიშის მაგივრად ეყარა ზედ. ამ ჟამად ეს ქვები აქა-იქ არის ქუჩებზე დახვავებული, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ვაი თუ დრო და ჟამმა ეს ქვები ადრინდულად გაფანტოს ქუჩებზე ჩვენის ფეხების დასამტვრევად!

როგორც ისმის, ახალ მაზრის უფროსს ვალდებულად გაუხდია ბოქაული, ყოველ ღამეს ჩამოიაროს ბაზარი ღამის დარაჯების დასახედად. თვითონ მაზრის უფროსი შუა ბაზარში სდგას იმ მოსაზრებით, რომ მაზრის უფროსი ყოველთვის ბაზარში უნდა იდგესო. ჯერჯერობით ბ-ნი ნეტკაჩევი კარგს იმედებს იძლევა...

დაფიქრებული

*** **ს. ნიგოითი** (ოზურგეთის მაზრა). **სოფლის დაწინაურება.** ნიგოითი ამ სამიოდე წლის განმავლობაში შესამჩნევად დაწინაურდა. პირველად, აქ ჩვენ ვხედავთ ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელს, რომელიც მოთავსებულია მშვენიერის კრამიტით დახურულ ქვის შენობაში. გარდა ამისა აქ არსებობს სამკითხველო. აქვეა ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. აქაურ ვაჭრების მეცადინეობით აქ დაარსდა იარმუკობა, პირველად ვაჭრობა იმართებოდა ყოველ პარასკეობით, მაგრამ რადგან ლანჩხუთშიაც იმართება ვაჭრობა პარასკეობით, ხოლო ლანჩხუთის მახლობლად არის, მაგრამ ნიგოითელებს არ აძლევდა ხელს პარასკეობის ვაჭრობა და შემოიღეს ყოველკვირეული იარმარკა. ამ იარმუკაზე, აქაურ და მახლობელ სოფლების ვაჭრების გარდა, კულაშიდანაც და სამტრედიიდანაც ჩამოდიან ურიები. ხალხი ყოველ მახლობელ კუთხიდან ბევრი იკრიბება. სავაჭრო დუქნებიც საკმარისია.

— **აბრეშუმის მოყვანაც** კარგად გავრცელებულია ნიგოითში. აქ ძვირად მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომ ყოველ წელს ორ-სამ თუმნამდე პარკი არ გააკეთოს, მაგრამ საუბედუროთ ხანდისხან ჩალის ფასად უვარდებათ ხელში ეს ნაწარმოები ზოგიერთ მატყუარა ვაჭბატონებს.

კირაკოზა

*** **დიდი-ჯიხაიში** (იმერეთი). მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ფულად და ნივთიერათ შემწეობა და შემოწირულება აღმოუჩინეს ჩვენს ახლად დაარსებულ სამკითხველოს. სია შემომწირველთა: ალექსანდრა მიხეილის ასულმა დვაბერიძისამ 5 მან. კოტე კ. ლორთქიფანიძემ 3 მ. და 17 ქართული წიგნი თ. ნიკო ბ. ჩხეიძემ, ივანე გ. დიდიძემ, კნ. ნატაშა ნიჟარაძისამ სამ-სამი მანეთი. მანუჩარ ქ. ლორთქიფანიძემ, დავით ბ. დევიძემ, კნ. ბაბილინა წულუკიძისამ, კნ. დესპინა, კნ. მინდა, კნ, მატუა, ჩხეიძეებისამ, თ. გიორგი ალ. ჩხეიძემ, ალიკო ბ. ლორთქიფანიძემ, დარისპან ი. დარსაველიძემ, თ. ნესტორ ალექსის ძე ჩხეიძემ, ლევან გ. წილაძემ, სიმონ სარდანისძე და სიმონ ბეჟანისძე ლორთქიფანიძეებმა, ოლღა კორძაიასამ, ანდრო ა. შუბლაძემ, თითოეულმა ამათგანმა 1 მან. 50 კ., ბესარიონ ნიკოლოზის ძე ჩომახიძემ ფულად 4 მ. 50 კ. ნინა ლორთქიფანიძემ 1 მ. ვარლამ ბ. ლორთქიფანიძემ 1 მ. ნინა და სონა ჩხეიძეებმა და ელენე ლორქიფანიძემ 6 მა. ბართლომე ქუთათელაძემ 50 კ. გიგო ქ. ნემსაძემ 3 მ. ამგვარივე მადლობას უძღვნი იმ პირთ, რომელთაც სამკითხველოს დარსების დღიდგანვე დაუთმეს მას თავიანთი ჟურნალ გაზეთები. „ივერია“ და „კავკაზი“ დ. დევიძემ, „ახალი მიმოხილვა“ ბ. ჩომახიძემ, „კვალი“ და „მოამბე“ მღვ. ს. დევიძემ, „ცნ. ფურცელი“ ნ. ლორთქიფანიძემ.

განსაკუთრებით მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ტფილისის დეპოში მოსამსახურეს გიორგი ი. ჩხეიძეს, რომელმაც გაიგო თუ არა, რომ მის სამშობლო სოფელში სამკითხველო დაარსდა, 3 მან. ფულად და 10 ცალი თვალ-საჩინო ქართული წიგნი გამოუგზავნა. ვისურვებ, რომ სხვა მის ამხანაგთაც მიებაძოთ მასთვის.

ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული შესტკივა, შემოწირულობა გვიბოძონ შემდეგის ადრესით: ст. Самтреди, Диди-Джихаиши. Въ читальнію П. Лорткипанидзе.

დიდი-ჯიხაიშის სამკითხველოს მმართველი
პოლიკარპე ლორთქიფანიძე

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

15 ივლისი. მასწავლებლები—ქალები და კაცები საეპარქიო ზედამხედველ ბბ. ტატიშვილთან, ფერაძესთან და ნატროშვილთან ერთად შეიკრიბნენ სიონის ტაძარში წირვის მოსასმენლად და პარაკლისის გადასახდელად. მწირველი იყო მისი უსამღვდელოესობა, გორის ეპისკოპოსი ლეონიდე. გალობდა ორი ხორო — ქართული და რუსული. შემდეგ პარაკლისისა მასწავლებლები სემენარიაში დაბრუნდნენ, სადაც გამოცდა დაიწყო ქართულ-რუსულ გალობაში. რამდენიმე კაცმა ლოტბარობის მოწმობა მიიღო და დანარჩენებმა იმის, რომ ერთ ხმაზე გალობა შეუძლიანთ და აგრეთვე სხვისი სწავლებაც. გამოცდა ოთხ საათამდე გაგრძელდა. ოთხ საათზე ისადილეს; სადილზე ბევრი უცხო პირიც იყო მოწვეული. სადილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. ბევრი საგულისხმიერო სადღეგრძელო წარმოითქვა და ყოველ სადღეგრძელოს „მრავალ-ჟამიერი“ მოჰყვა. დიდის აღტაცებით დალიეს მასწავლებლებმა თავიანთი ზედამხედველის ბ-ნ ნ. ტატიშვილის სადღეგრძელო და თან კახური მრავალ-ჟამიერი შემოსძახეს. ბ. ტატიშვილს აღტაცება და კმაყოფილება ეტყობოდა ასეთის გულ-მხურვალე შვილებრივის თანაგრძნობის დამსახურებით მასწავლებელთაგან და თავის კმაყოფილება რამდენიმე სიტყვით გამოსთქვა. სადღეგრძელო ზედამხედველისა რამდენჯერმე დაილია და თან „ვაშა“ და მრავალ-ჟამიერი მოჰყვა.

16 ივლისს ლექტორებთან ერთად მასწავლებლები გაემგზავრებიან მცხეთის ტაძრის და მონასტრის სანახავად. მცხეთაში სადილი ექმნებათ გამართული და მერე ამავე დღეს შიო მღვიმის მონასტერში წავლენ. შემდეგ ისევ ქალაქში დაბრუნდებიან და თავ-თავიანთ სახლებისკენ გაემგზავრებიან.

მ. ლიხელი

## ყურმოკრული საუბარი

როცა ფილოსოფოსი ფალესი ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, დედა დაჟინებით თხოვდა მას, ქალი შეირთეო, მაგრამ ის უპასუხებდა: „ჯერ ადრეაო“. კაი ხნის შემდეგ მან იმავე თხოვნაზე უპასუხა დედას: „ახლა-კი დაგვიანებულიაო“!

ფილოსოფოსი ფალესი ამტკიცებდა, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არავითარი განსხვავება არ არისო.

— თუ აგრეა, რატომ თავს არ მოიკლავო?—ჰკითხეს მას.

— სწორედ იმიტომ, რომ ეგ არავითარ განსხვავებას არ შეადგენსო,—მიუგო ფალესმა.

# წვრილი ამბავი

მილიონერი მაწანწალა. 1-ლ ივლის პარიზში შემდეგი საინტერესო ამბავი მოხდა. ორმა პოლიციელმა მიიყვანა პოლიციაში ერთი მაწანწალა, რომელიც შეიპყრეს დიდ ბაზარზე. მაწანწალა პოლიციას მოსულელოდ და ყრუდ ეჩვენა და მისგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს კითხვებზე მისი სახელისა, საცხოვრებელ ადგილისა და ჩამომავლობის შესახებ. მაშინ მაწანწალას დაუწყეს გაჩხრეკა და წარმოიდგინეთ მთელი პოლიციის განცვიფრება, როდესაც მაწანწალას უნახეს 20 ათასი ფრანკის ბანკის ბილეთები და 850,000 ფრ. ფასიანი ქაღალდები. დღემდე ვერ გაუგიათ ამ მაწანწალა მილიონერის სახელი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

14 ივლისი.

**ვრანიცა**. ივლის, დილის 8 საათზედ, გრანიცის სადგურზედ მოვიდა რუმინიის მეფე მემკვიდრე პრინცითურთ. რკინის გზის სადგურზედ საპატიო დარაჯი იყო გამწკრიებული მეშვიდე მსროლელთა რაზმისაგან. მეფეს დახვდნენ: რუმინიის ელჩი როსეტტი სოლესკო, ბუქარესტის სამხედრო აგენტი პოლკოვნიკი ბარონი ტაუბე, კამერგერი ოზეროვი და სხვანი. 40 წუთის შემდეგ მეფე გაემგზავრა ვარშავასკენ.

**ვარშავა**. 14 ივლიისს ვენის რკინის გზის სადგურზედ, რომელიც მშვენივრად იყო მორთული ცხელის ქვეყნების მცენარეებით, ხალებითა და ბაირაღებით მოვიდნენ ადრევე უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკი, გენერალ-ადიუტანტი არსენიევი და პუკირევსკი, შტაბის უფროსი. მეფის მატარებელი მოვიდა დღის 2 საათსა და 53 წუთს. რკინის გზის სადგურიდან მეფე და მემკვიდრე პრინცი ლაზენკოვის სასახლეში წავიდნენ. პეტერბურგს ოთხშაბათს წავლენ, დილით.

**პარიჟი**. კაპ-პაიტიედგან იუწყებიან, რომ კაიმამერის და გვანტანამოს მეციხოვნე ჯარი მტერს დაჰმორჩილდაო.

**პარიჟი**. ლაბორიმ გარდასცა სასამართლოს გამომძიებელს ბერტიულიუს პიკარის საჩივარი, რომლითაც პიკარი მაიორს დიუ-პატიდეკლამას სიყალბის ჩადენის ანუ სიყალბეში მონაწილეობის მიღების ბრალს სდებს.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და
ეკკლესიებშიაც
ცხოვრება დიდისა მოწამისა
იაკობ დაჭრილისა
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა
ფასი ერთი შაური (10—4)

К Ъ  В О П Р О С У
О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასა ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას. (6 -1)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—28)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნია